



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

საქმის დასახელება - პრაგოე დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი უკრაინის წინააღმდეგ
საჩივრის ნომერი - [33014/05](#)

მოპასუხე სახელმწიფო - უკრაინა

გადაწყვეტილების მიღების თარიღი - 05/08/2011

შედეგი: წინასწარი განაცხადი გაერთიანდა არგუმენტებთან და დაუშვებლად გამოცხადდა,
დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი - გამოხატვის თავისუფლება-**{ზოგადი}** (მუხლი 10-1 -
გამოხატვის თავისუფლება), არამატერიალური ზიანი - ანაზღაურება

განსხვავებული აზრი: არა

საკვანძო სიტყვები:

(მუხლი 10) გამოხატვის თავისუფლება -**{ზოგადი}**

(მუხლი 10-1) გამოხატვის თავისუფლება

(მუხლი 10-2) ჩარევა

(მუხლი 10-2) კანონით გათვალისწინებული

(მუხლი 10-2) განჭვრეტადობა

(მუხლი 10-2) გარანტიები უფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ

(მუხლი 34) ინდივიდუალური საჩივარი

(მუხლი 41) სამართლიანი დაკმაყოფილება-**{ზოგადი}**

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012 წელი. თარგმანი მომზადებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა მიზნობრივი ფონდის მიერ (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი არ ავალდებულებს სასამართლოს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სრული მითითება საავტორო უფლების შესახებ დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012 [or subsequent year]. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012 [ou année suivante]. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

პრავოე დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი
უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

მეხუთე სექცია

პრავოე დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი უკრაინის
წინააღმდეგ

**CASE OF EDITORIAL BOARD OF PRAVOYE DELO AND SHTEKEL
v. UKRAINE**

(საჩივარი #33014/05)

გადაწყვეტილება
სტრასბურგი
2011 წლის 5 მაისი

საბოლოო ვერსია
05/08/2011

წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოოა კონვენციის 44-ე
მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. იგი შეიძლება
დაექვემდებაროს რედაქტირებას

საქმეზე Editorial Board of Pravoye Delo and Shtekel v. Ukraine

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეხუთე
სექცია), რომელიც შეიკრიბა პალატის სახით შემდეგ
მოსამართლეთა შემადგენლობით:

დინ სპილმანი, თავმჯდომარე,
ელისაბედ ფურა,
კარელ ჯუნგვეირტი,
მარკ ვილიგერი,
იზაბელ ბერრო-ლეფევრე,
ანა პოვერი,
განა იუდიკოვსკა, მოსამართლეები,
და კლაუდია ვესტერდიკი, სექციის რეგისტრატორი,

იმჯელა განმარტოებით 2011 წლის 5 აპრილს,

პრავოე დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

და ამავე დღეს გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს გაზეთ პრავოე დელოს სარედაქციო საბჭოსა (პირველი მიმჩივანი) და უკრაინის მოქალაქე ბ-ნი შტეკელის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის თანახმად, 2005 წლის 22 აგვისტოს უკრაინის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრიდან (#33014/05).

2. სასამართლოს წინაშე მიმჩივნების ინტერესებს წარმოადგენდა ქ-ნი ლ.ვ. ოპრიშკო, კიევში მოღვაწე ადვოკატი. უკრაინის მთავრობის ("მთავრობა") ინტერესებს წარმოადგენდა მთავრობის აგენტი ბ-ნი ი. ზაიცევი, იუსტიციის სამინისტროდან.

3. 2009 წლის 13 ოქტომბერს მეხუთე სექციის თავმჯდომარემ გადაწყვიტა ეცნობებინა მთავრობისათვის წარდგენილი საჩივრის შესახებ. ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თანადროულად განხილულიყო საქმის არსებითი მხარე და დასაშვებობასთან დაკავშირებული საკითხები (29-ე მუხლი 1-ლი ნაწილი).

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

4. პირველი მიმჩივანი არის გაზეთ პრავოე დელოს სარედაქციო საბჭო, რომელიც ოფიციალურად დარეგისტრირდა ოდესაში 2000 წლის მაისში. მეორე მიმჩივანი არის პრავოე დელოს მთავარი რედაქტორი. იგი ცხოვრობს ოდესაში.

5. შესაბამისი პერიოდისთვის პრავოე დელო იყო ადგილობრივი გაზეთი, რომელიც კვირაში სამჯერ გამოდიოდა 3,000-იანი ტირაჟით. იგი აქვეყნებდა მოხსენებებს და მასალებს უკრაინაში, უფრო ზუსტად ოდესაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური საკითხების გარშემო. თანხის არარსებობის გამო, გაზეთი ხშირად ბეჭდავდა სხვადასხვა საჯარო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტიდან მოპოვებულ სტატიებში და მასალებში არსებულ ინფორმაციას.

6. 2003 წლის 19 სექტემბერს პრავოე დელომ გამოაქვეყნა ანონიმური წერილი, რომელიც მეორე მიმჩივნის კოლეგის,

პრავოე დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

ქალბატონი ი.-ს მიერ ჩამოტვირთულ იქნა ვებ-გვერდიდან და რომელიც სავარაუდოდ ეკუთვნოდა უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომელს. წერილი შეიცავდა სხვადასხვა ბრალდებებს, რომელთა მიხედვითაც უშიშროების სამსახურის ოდესის რეგიონალური დეპარტამენტის უფროსი თანამშრომლები ჩართული იყვნენ უკანონო და კორუფციულ საქმიანობაში, უფრო კონკრეტულად მათ ჰქონდათ კავშირი ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებების წევრებთან. წერილის ერთ-ერთი ამონარიდი შემდეგი შინაარსის იყო:

“უშიშროების სამსახურის ოდესის რეგიონალური სასამსახურის უფროსის მოადგილემ, [ი.ტ.-მ], რომელიც დეპარტამენტის უფროსის ახლო მეგობარი და ასისტენტი, დაამყარა “საქმიანი” ურთიერთობა ა.ა.-ს მიერ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფთან. კრიმინალური დაჯგუფების წევრი [გ.ტ.], რომელიც ა.ა.-ს აგენტია, არის ბანდის ძირითადი საქმეების სათავეში და აკონტროლებს და აფინანსებს მკვლევლობებს, ხვდება ი.ტ.-ს და წყვეტს ფინანსურ საკითხებს უშიშროების სამსახურის ოდესის რეგიონის დეპარტამენტის უმაღლესი თანამდებობის პირთათვის.”

7. წერილს თან ერთვოდა სარედაქციო საბჭოს სახელით მოქმედი ქალბატონი ი.-ს კომენტარით:

“მთავარი რედაქტორის ინფორმირების და თანხმობის გარეშე წერილის გამოქვეყნებისას მივხვდი, რომ არამხოლოდ მე, არამედ გაზეთსაც შეიძლებოდა შექმნოდა პრობლემები. რადგან, თუკი აღნიშნული წერილი არ შეიცავს სწორ ინფორმაციას, მაშინ ის მედია საშუალება, რომელმაც იგი გამოაქვეყნა, საფრთხის ქვეშ ექცევა. გარდა ამისა, იმის მხედველობაში მიღებით, რომ anonimka [ანონიმური წერილი] უკვე გამოქვეყნდა ოდესაში, ვებ-გვერდზე Vlasti.net (რომელსაც ჩვენ ვუთითებთ, მათი მოთხოვნების შესაბამისად), ჩვენ გვაქვს ღვთის კურთხევა მის გამოსაქვეყნებლად. ჩვენ ვმოქმედებთ იმის გაცნობიერებით, რომ “სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის და სამართალდამცავი ორგანოების დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლის შესახებ” კანონის შესაბამისად, ჩვენ ვახორციელებთ სამოქალაქო კონტროლს და კანონის 29-ე ნაწილის შესაბამისად, გვსურს მივიღოთ საჯარო ინფორმაცია ამ წერილში წარმოდგენილი ფაქტების გარშემო შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან. უფრო მეტიც, უნდა აღინიშნოს, რომ უშიშროების სამსახურის ოდესის რეგიონალური დეპარტამენტმა არ მოახდინა არანაირი რეაგირება ანალოგიურ შინაარსის პუბლიკაციაზე გაზეთ თოპ შეცრეტ-ში. შეგახსენებთ, რომ გაზეთი პრავოე დელო ღიაა დაინტერესებული მხარეების საპასუხო წერილების და კომენტარების მიმართ.”

პრავოე დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი
უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

8. 2003 წლის ოქტომბერში გ.ტ.-მ, რომელიც იმ დროისთვის ცხოვრობდა ოდესაში და იყო უკრაინის ტაილანდური კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, აღძრა სამართალწარმოება ოდესის პრიმორსკის რაიონულ სასამართლოში მიმჩივანთა წინააღმდეგ ცილისწამების ბრალდებით. გ.ტ. ჩიოდა, რომ 2003 წლის 19 სექტემბერს პრავოე დელოში გამოქვეყნებული ინფორმაცია შეეხებოდა მას და რომ იგი იყო არასწორი და მისი ღირსების და რეპუტაციის შემლახავი. იგი ითხოვდა სასამართლოსგან, რომ მიმჩივნებს გამოექვეყნებინათ უარყოფა და ბოდიში და გადაეხადათ მისთვის მორალური ზიანის მიყენების გამო კომპენსაცია 200,000 უკრაინული გრივნის (UAH)¹ ოდენობით.

9. მიმჩივნები თავდაპირველად სასამართლოს წინაშე დავობდნენ, რომ მათ მიერ გამოქვეყნებულ მასალებში ისინი არ იყვნენ ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელნი, რადგან მასში სხვაგან გამოქვეყნებული ინფორმაცია იქნა გადმობეჭდილი სახეცვლილების გარეშე. პუბლიკაცია შეიცავდა შესაბამის წყაროზე მითითებას, რასაც მოჰყვებოდა კომენტარი, რომელიც რედაქტორის პოზიციას შეიცავდა აღნიშნული საკითხის გარშემო და იწვევდა დაინტერესებულ პირებს და უწყებებს დამატებითი მოსაზრებების წარმოსადგენად. განცმხადებლები ასევე უთითებდნენ, რომ გ.ტ.-ს მიერ მოთხოვნილი თანხის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაზეთი გადახდისუუნარო გახდებოდა და უნდა დახურულიყო.

10. შემდგომ, 2004 წლის 24 აპრილის ზეპირ განხილვაზე, მეორე მიმჩივანმა მიუთითა, რომ სტატია არ იყო მოსარჩელის შესახებ და მისი შინაარსი არ გულისხმობდა აუცილებლად იმას, რომ “გ.ტ.” იყო მასში მითითებული პირი.

11. 2004 წლის 7 მაისს სასამართლომ გამოიტანა მიმჩივანთა საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. დადგენილ იქნა, რომ ინფორმაცია შეეხებოდა მოსარჩელეს, რომელიც იყო ოდესის რეგიონში მიმდინარე საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული საჯარო ფიგურა და წარმოადგენდა უკრაინას სპორტულ შეჯიბრებებში საზღვარგარეთ მისი კომპეტენციის ფარგლებში, როგორც უკრაინის ტაილანდური კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი. ხსენებულთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა, რომ მიმჩივანთა მიერ სადავოდ არ იყო მიჩნეული ის ფაქტი, რომ პუბლიკაცია შეეხებოდა უშიშროების სამსახურის საქმიანობას ოდესის რეგიონში. სასამართლომ დამატებით

¹ დაახლოებით 33,600 ევრო (EUR)

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

დაადგინა, რომ შინაარსი იყო ცილისმწამებლური და რომ მიმჩივნებმა ვერ შეძლეს დაემტკიცებინათ მისი სისწორე. სასამართლოს მიერ ვერ იქნა დადგენილი “პრესის შესახებ” კანონის 42-ე მუხლით განსაზღვრული ვერცერთი საფუძვლის არსებობა, რომლის სამუალებითაც მიმჩივნები გათავისუფლდებოდნენ სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან, რადგან მათ მიერ მითითებული ინტერნეტ საიტი არ წარმოადგენდა ბეჭდურ მედიას, რომელიც “პრესის შესახებ” კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად იქნებოდა რეგისტრირებული.

12. სასამართლომ დაადგინა, რომ პირველ მიმჩივანს უნდა გამოექვეყნებინა შემდეგი პუბლიკაციის უარყოფა:

“კრიმინალური დაჯგუფების წევრი [გ.ტ.], რომელიც ა.ა.-ს წარმოადგენს, არის ბანდის ძირითადი საქმეების სათავეში და აკონტროლებს და ასპონსორებს მკვლელობებს, ხვდება ი.ტ.-ს და აგვარებს ფინანსურ საკითხებს უშიშროების სამსახურის ოდესის რეგიონის დეპარტამენტის უმაღლესი თანამდებობის პირთათვის.”

13. სასამართლომ ასევე ბრძანა, რომ მეორე მიმჩივანს გაზეთში უნდა გამოექვეყნებინა ოფიციალური ბოდიშის წერილი.

14. მოსარჩელისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ამ უკანასკნელის მოსაზრებები და გაზეთის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. მითითებულ იქნა, რომ მთლიანი წლიური შემოსავალი იყო დაახლოებით 22,000 უკრაინული გრივნა¹ და გონივრულად იქნა მიჩნეული მიმჩივანთათვის ერთობლივად 15,000 უკრაინული გრივნის² გადახდის დაკისრება გ.ტ.-ს სასარგებლოდ მორალური ზიანისთვის. მიმჩივნებს ასევე დაეკისრათ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 750 უკრაინული გრივნის³ გადახდა სასამართლო ხარჯების გამო.

15. მიმჩივნებმა გაასაჩივრეს. ისინი უთითებდნენ თავიანთ მოსაზრებებს, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე იქნა დაყენებული და ასევე აღნიშნავდნენ, რომ სარედაქციო საბჭო არ იყო რეგისტრირებული იურიდიულ გაერთიანებად და რომ მეორე მიმჩივანი მთავარ რედაქტორად დანიშნული არ იყო

¹ დაახლოებით 3,511 ევრო.

² დაახლოებით 2,394 ევრო.

³ დაახლოებით 120 ევრო.

პრაგოე დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი
უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

კანონმდებლობის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მათი მოსაზრებით, მათ არ უნდა მიეღოთ მონაწილეობა სამართალწარმოებებში.

16. მიმჩივნებმა დამატებით მიუთითეს, რომ მათზე სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ეწინააღმდეგებოდა “პრესის შესახებ” კანონის 41-ე მუხლს და “სახელმწიფოს მიერ მასმედიის მხარდაჭერის და ჟურნალისტთა სოციალური დაცვის შესახებ” კანონის მე-17 მუხლს, რადგან მათ არ ჰქონდათ გ.ტ.-ს მიმართ ცილისწამებლური მიზანი და რომ მასალების გამოქვეყნებისას ისინი მიზნად ისახავდნენ საზოგადოებრივი დისკუსიის გამართვას განსახილველ საკითხზე, რომელსაც იმ დროისთვის საგრძნობი საზოგადოებრივი ინტერესი გააჩნდა. მათი განცხადების მიხედვით, მათ ჰქონდათ ვალდებულება გაეზრცელებინათ აღნიშნული მასალები და საზოგადოებას ჰქონდა უფლება მიეღო იგი.

17. მეორე მიმჩივანმა ასევე მიუთითა, რომ მას არ ჰქონდა თანხმობა მიცემული აღნიშნული პუბლიკაციის გამოსაქვეყნებლად და რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენდა ბოდიშის მოხდის ვალდებულებას, როგორც სანქციას ცილისწამებაზე.

18. 2004 წლის 14 სექტემბერს და 2005 წლის 24 თებერვალს, შესაბამისად, ოდესის რაიონულმა და უზენაესმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მიმჩივანთა საჩივრები და ძალაში დატოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება.

19. 2006 წლის 3 ივლისს მიმჩივნებმა და გ.ტ.-მ მიაღწიეს მეგობრულ მორიგებას, რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელმა უარი თქვა კომპენსაციის თანხის მოთხოვნის უფლებაზე, რომელიც მას მიეკუთვნა 2004 წლის 7 მაისის განჩინებით. მიმჩივნებმა თავის მხრივ აიღეს ვალდებულება, რათა დაეფარათ ყველა ხარჯები და საფასური, რაც მომდინარეობდა სასამართლო სამართალწარმოებიდან და გამოექვეყნებინათ პრაგოე დელოში წამახალისებელი და ინფორმაციული მასალები გ.ტ.-ს მოთხოვნით, რომლის მოცულობაც შეზღუდული იყო განჩინებით განსაზღვრული კომპენსაციის ოდენობით.

20. 2008 წელს მიმჩივნებმა შეწყვიტეს *პრაგოე დელოს* გამოცემა.

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი
უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

A. უკრაინის 1996 წლის 28 ივნისის კონსტიტუცია

21. კონსტიტუციის შესაბამისი ამონარიდების თანახმად:

32-ე მუხლი

“... ყველასთვის უზრუნველყოფილია მასზე ან მის ოჯახის წევრზე არასწორი ინფორმაციის უარყოფის უფლების სასამართლო წესით დაცვა და ასევე უფლება მოითხოვოს კომპენსაცია მატერიალური და მორალური ზიანისთვის, რომელიც ამგვარი არასწორი ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების ან გავრცელების შედეგად იქნა გამოწვეული.”

34-ე მუხლი

“ყველასთვის გარანტირებულია აზრის და სიტყვის თავისუფლება და მისი მოსაზრებების ან რწმენის თავისუფალი გამოხატვა.

ყველას აქვს უფლება თავისუფლად შეაგროვოს, შეინახოს, გამოიყენოს და გაავრცელოს ინფორმაცია ზეპირი, წერილობითი და მისი არჩევის შესაბამისი სხვა საშუალებების მეშვეობით.

ამ უფლებათა განხორციელება შეიძლება შეიზღუდოს კანონით სახელმწიფოს ასუფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, არეულობის ან დანაშაულის თავიდან აცილების, მოსახლეობის ჯანმრთელობის, სხვა პირთა რეპუტაციის ან უფლებების დაცვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამოქვეყნების პრევენციის ან სასამართლოს მმართველობის და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით.”

B. 1963 წლის სამოქალაქო კოდექსი (2004 წლის 1 იანვრიდან გაუქმებულია)

22. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებების თანახმად:

მუხლი 7. პატივის, ღირსების და რეპუტაციის დაცვა

“მოქალაქეს ან ორგანიზაციას აქვს უფლება მოითხოვოს სასამართლოს მეშვეობით იმ ინფორმაციის უარყოფა, რომელიც არასწორია ან გადმოცემულია არასანდო გზით, აკნინებს მათ პატივსა და ღირსებას ან იწვევს მათი ინტერესების ხელყოფას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის გამავრცელებელი პირი დაამტკიცებს მის სისწორეს...”

მოქალაქეს ან ორგანიზაციას, რომლის შესახებაც ინფორმაცია გავრცელდა და ზიანს აყენებს მათ ინტერესებს, პატივს, ღირსებას ან რეპუტაციას, აქვს

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი
უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

მატერიალური და მორალური კომპენსაციის მოთხოვნის და ამ ინფორმაციის უარყოფის უფლება...”

C. 2003 წლის სამოქალაქო კოდექსი (ძალაშია 2004 წლის 1 იანვრიდან)

23. 2003 წლის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებები, რომლებიც საქმისთვის რელევანტურია, შემდეგი შინაარსისაა:

მე-16 მუხლი

სამოქალაქო უფლებათა და ინტერესების სასამართლო წესით დაცვა

1. ყველას აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს მისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

2. სამოქალაქო უფლებათა და ინტერესების დაცვის საშუალებები შეიძლება გულისხმობდეს:

- 1) უფლების აღიარებას;
- 2) აქტის გაუქმებას;
- 3) უფლების შემლახავი მოქმედებების აღკვეთას;
- 4) დარღვევამდე არსებული სიტუაციის აღდგენას;
- 5) ვალდებულების სპეციფიკურ აღსრულებას;
- 6) სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლას;
- 7) სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტას;
- 8) მატერიალური ზიანის გამო ანაზღაურებას;
- 9) მორალური ზიანის გამო ანაზღაურებას;
- 10) უკანონო გადაწყვეტილების ან სახელმწიფო ორგანოს უმოქმედობის აღიარებას;

...

სასამართლომ შეიძლება დაიცვას სამოქალაქო უფლებები სხვა საშუალებებით, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან კანონით.

...”

277-ე მუხლი

არასწორი ინფორმაციის უარყოფა

1. “ფიზიკური პირს, რომლის მორალური უფლებებიც შეილახა მის ან მისი ოჯახის წევრების შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელების შედეგად, აქვს პასუხის და ინფორმაციის უარყოფის უფლება.

2. ...პიროვნების შესახებ ნეგატიური ინფორმაციის გავრცელება მიჩნეულ იქნება არასწორად, თუ მისი გამავრცელებელი არ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს.

3. არასწორი ინფორმაცია უნდა იქნას უარყოფილი იმ პირის მიერ, ვინც გაავრცელა იგი...

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

4. თუ არასწორი ინფორმაცია განთავსებულია დოკუმენტში, რომელიც აღიარებულ (გაცემულ) იქნა იურიდიული გაერთიანების მიერ, აღნიშნული დოკუმენტი უნდა იქნას ამოღებული.

5. ფიზიკური პირს, რომლის მორალური უფლებები იქნა შელახული ბეჭდურ ან სხვა სახის მედიაში, აქვს პასუხის და არასწორი ინფორმაციის უარყოფის უფლება იგივე მასმედიის საშუალებებში, კანონით დადგენილი წესით...

არასწორი ინფორმაცია უნდა იქნას უარყოფილი იგივე გზით, როგორც მოხდა მისი გავრცელება.

6. არასწორი ინფორმაცია უნდა იქნას უარყოფილი მისი გამავრცელებლის ბრალეულობის მიუხედავად.“

D. “ინფორმაციის შესახებ” 1992 წლის 2 ოქტომბრის კანონი

24. საქმის განხილვის დროს მოქმედი “ინფორმაციის შესახებ” კანონის შესაბამისი ამონარიდები შემდეგი შინაარსისაა:

მე-20 მუხლი. მასმედია

“ბეჭდურ მასმედიას მიეკუთვნება პერიოდული (პრესა) – გაზეთი, ჟურნალი, ბიულეტენი – და არაპერიოდული, მაგრამ ცირკულირებადი გამოცემები.

აუდივიზუალური მასმედიას წარმოადგენს რადიო, ტელევიზია, კინო, აუდიო, ვიდეო ჩანაწერები და ა.შ.

კონკრეტული მედიასაშუალებების დაარსების პროცედურა განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით.”

47-ე მუხლი. ინფორმაციის შესახებ კანონმდებლობის დარღვევის გამო პასუხისმგებლობა

“...ინფორმაციის შესახებ კანონმდებლობის დარღვევაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ პირებს, რომლებიც ახორციელებენ შემდეგი სახის ხელყოფას:

...

არასწორი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ცილს სწამებს პირის პატივსა და ღირსებას..”

49-ე მუხლი. მატერიალური და მორალური ზიანის გამო ანაზღაურება

“თუ ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა განიცადა მატერიალური ან მორალური ზიანი, რომელიც გამოწვეულია საინფორმაციო საქმიანობაში ჩართული სამართლებრივი გაერთიანების მიერ ჩადენილი

პრავოე დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

სამართალდარღვევით, ამ უკანასკნელზე პასუხისმგებელი პირის მიერ უნდა მოხდეს ანაზღაურება ნებაყოფლობით ან სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად...”

E. 1992 წლის 16 ნოემბრის „ბეჭდური მასმედიის (პრესის) შესახებ“ კანონი

25. “პრესის შესახებ” კანონის ამონარიდები შემდეგი შინაარსისაა:

1-ლი მუხლი. ბეჭდური მასმედია (პრესა) უკრაინაში

„ბეჭდური მასმედია (პრესა) უკრაინაში, როგორც ეს განსაზღვრულია ამ კანონში, განისაზღვრება როგორც მინიმუმ წელიწადში ერთხელ გამოცემადი პერიოდული და მიმდინარე პუბლიკაცია ერთი სახელით, სახელმწიფოს რეგისტრაციის სერთიფიცირების შესაბამისად...”

მე-7 მუხლი. ბეჭდურ მედიის საქმიანობაში ჩართული გაერთიანებები

“ბეჭდური მედიის საქმიანობაში ჩართულ გაერთიანებებად მიიჩნევიან მათი დამფუძნებლები (ან თანადამფუძნებლები), სარედაქციო საბჭოები...”

21-ე მუხლი. ბეჭდური მედიის სარედაქციო საბჭო

“ბეჭდური მედიის სარედაქციო საბჭო ამზადებს და გამოსცემს ბეჭდურ მედიას დამფუძნებლის (ან დამფუძნებლების) ინსტრუქციების შესაბამისად.

სარედაქციო საბჭო მოქმედებს საორგანიზაციო ქარტიის საფუძველზე და ახორციელებს ბეჭდური მედიის პროგრამას, რომელიც მხარდაჭერილია მისი დამფუძნებლის (ან დამფუძნებლების) მიერ.

სარედაქციო საბჭო ... იღებს სამართლებრივი გაერთიანების სტატუსს სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან, ეს პროცედურა კი ხორციელდება უკრაინული კანონმდებლობის შესაბამისად.”

21-ე მუხლი. ბეჭდური მედიის რედაქტორი (მთავარი რედაქტორი)

“რედაქტორი (მთავარი რედაქტორი) ... ხელმძღვანელობს სარედაქციო საბჭოს, რომელიც უფლებამოსილია დამფუძნებლის (ან დამფუძნებელთა) მიერ.

რედაქტორი (მთავარი რედაქტორი) ... მართავს სარედაქციო საბჭოს საქმიანობას მისი კომპეტენციის ფარგლებში, როგორც ეს განსაზღვრულია მისი საორგანიზაციო ქარტით, წარადგენს სარედაქციო საბჭოს დამფუძნებელთან (დამფუძნებლებთან), გამომცემელთან, ავტორებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, მოქალაქეთა ასოციაციებთან და ინდივიდებთან, ასევე სასამართლოს და საარბიტრაჟო ტრიბუნალების წინაშე და პასუხისმგებელია საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებაზე ბეჭდურ მედიაში, სარედაქციო საბჭოში...”

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

26-ე მუხლი. ბეჭდური მედიის სახელმწიფო რეგისტრაცია

„... ყველა ბეჭდური მედია უკრაინაში ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას, მიუხედავად გავრცელების არეალისა, ცირკულაციისა და შექმნის ფორმისა...”

32-ე მუხლი. საგამომცემლო მონაცემები

ბეჭდური მედიის ყველა ეგზემპლარი უნდა შეიცავდეს შემდეგ საგამომცემლო ინფორმაციას:

(1) გამოცემის დასახელებას ...

პუბლიკაციის დისტრიბუცია საგამომცემლო ინფორმაციის გარეშე დაუშვებელია.”

37-ე მუხლი. ინფორმაციის უარყოფა

“მოქალაქეებს, სამართლებრივ გაერთიანებებს და სახელმწიფო ორგანოებს და მათ წარმომადგენლებს აქვთ უფლება მოსთხოვონ ბეჭდური მედიის სარედაქციო საბჭოებს, გამოაქვეყნონ მათ შესახებ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა, რომელიც მცდარია ან ცილს სწამებს მათ პატივსა და ღირსებას.

თუ სარედაქციო საბჭოს არ აქვს რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება გამოქვეყნებული ინფორმაციის ჭეშმარიტება, მათ მოსარჩელის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა გამოაქვეყნონ ამ ინფორმაციის უარყოფა იმავე ბეჭდური მედიის შემდეგ გამოცემაში ან თავიანთი ინიციატივით უზრუნველყონ მისი გამოქვეყნება...”

41-ე მუხლი. პასუხისმგებლობის საფუძვლები

“სარედაქციო საბჭოები, დამფუძნებლები, გამომცემლები, დისტრიბუტორები, სახელმწიფო ორგანოები, ორგანიზაციები და მოქალაქეთა ასოციაციები პასუხისმგებელნი არიან ბეჭდური მედიის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის გამო.

ბეჭდური მედიის მიერ უკრაინული კანონმდებლობის დარღვევად მიიჩნევა:

1) „ინფორმაციის შესახებ” კანონის 47-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევა...

ამგვარი დარღვევის გამო, ბრალულ მხარეს დაეკისრება დისციპლინური, სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უკრაინის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ჟურნალისტი, რედაქტორი (ან მთავარი რედაქტორი) ან სხვა პირები, რომელთა თანხმობითაც ქვეყნდება კანონსწინააღმდეგო მასალები, ეკისრებათ იგივე სახის პასუხისმგებლობა ბეჭდური მედიის თავისუფლების ბოროტად გამოყენების გამო, როგორც მასალის ავტორს.”

პრავოე დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

42-ე მუხლი. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

„სარედაქციო საბჭო და ჟურნალისტები არ არიან პასუხისმგებელი მასალის პუბლიკაციისთვის, რომელიც არასწორია, ცილს სწამებს მოქალაქის და ორგანიზაციის პატივსა და ღირსებას, ლახავს მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს ან წარმოადგენს ბეჭდური მედიის თავისუფლების ან ჟურნალისტთა უფლებების ბოროტად გამოყენებას, თუ

1) ინფორმაცია მიღებულია საინფორმაციო სააგენტოებისგან ან მედიის წყაროს დამფუძნებლის (ან დამფუძნებლების) მიერ;

2) ინფორმაცია წარმოადგენს „ინფორმაციის შესახებ“ კანონის შესაბამისად განსაზღვრული პასუხის ნაწილს ოფიციალური დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობის და ზეპირი ან წერილობითი ინფორმაციის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად;

3) ინფორმაცია წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციების ან მოქალაქეთა გაერთიანებების ოფიციალური ზეპირი განცხადებების სტენოგრაფის რეპროდუქციას;

4) ინფორმაცია წარმოადგენს სხვა ბეჭდური მედიის მასალის სტენოგრაფიის რეპროდუქციას და შეიცავს შესაბამის მითითებას მასზე;

5) ინფორმაცია შეიცავს საიდუმლოებას, რომელიც სპეციალურად არის დაცული კანონით და ჟურნალისტის მიერ მისი მოპოვება არ განხორციელებულა კანონდარღვევით.”

F. “სახელმწიფოს მიერ მასმედიის მხარდაჭერის და ჟურნალისტთა სოციალური დაცვის შესახებ” 1997 წლის 23 სექტემბრის კანონი

26. კანონის შესაბამისი ამონარიდები ადგენენ შემდეგს::

მე-17 მუხლი. ჟურნალისტის დაზიანების ან მისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ქმედების გამო პასუხისმგებლობა და ჟურნალისტის პასუხისმგებლობა მის მიერ გამოწვეული მორალური ზიანის გამო

“...სასამართლოში არამატერულ ზიანთან დაკავშირებული დავის განხილვის პროცესში, ჟურნალისტს ან მედიას, როგორც მოპასუხე მხარეს და პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო ბლოკს ან თანამდებობის პირს (თანამდებობის პირებს), როგორც მოსარჩელეს შორის სამართალწარმოების ფარგლებში, სასამართლო დაადგენს მორალური კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტი ან მედიის მესვეური მოქმედებდა გაზრახ. სასამართლო მხედველობაში მიიღებს მოსარჩელის მიერ არასასამართლო ღონისძიებების გამოყენების შედეგებს, უფრო ზუსტად წინასასამართლო სხდომაზე მცდარი მასალის უარყოფის შესაძლებლობას, პატივისა და ღირსების და რეპუტაციის დაცვას და მთლიანი დავის მოგვარებას.

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

გარემო პირობების მხედველობაში მიღებით სასამართლომ შეიძლება უარი თქვას მორალური ზიანის ანაზღაურების კომპენსაციაზე.

ჟურნალისტის ან მედია საშუალების ხელმძღვანელის განზრახვა ნიშნავს მის ან მათ პოზიციას ინფორმაციის გავრცელებაზე, როცა ჟურნალისტი ან მედიის ხელმძღვანელი დარწმუნებულნი არიან, რომ ინფორმაცია არის მცდარი და უგულვებელყვეს მისი სოციალურად მავნე შედეგები.

ჟურნალისტს ან/და მასმედიას არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა მცდარი ინფორმაციის გავრცელებისთვის, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ჟურნალისტი მოქმედებდა კეთილსინდისიერად და გადაამოწმა ინფორმაცია.”

G. უკრაინის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2009 წლის 27 თებერვლის რეზოლუცია სასამართლო პრაქტიკის შესახებ იმ საქმეებში, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის პატივისა და ღირსების და ფიზიკური პირის და იურიდიული გაერთიანების რეპუტაციის დაცვას.

27. უზენაესი სასამართლოს პლენუმის რეზოლუციის შესაბამისი ამონარიდი შემდეგი შინაარსისაა:

“უკრაინის კონსტიტუციის 19-ე მუხლის შესაბამისად, უკრაინის სამართლებრივი წესრიგი ეფუძნება პრინციპს, რომლის მიხედვითაც არავინ შეიძლება დაექვემდებაროს იმის განხორციელების ვალდებულებას, რაც არ არის განსაზღვრული კანონმდებლობით. აქედან გამომდინარე, უკრაინის კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებულია აზრის და სიტყვის თავისუფლების უფლება და შეხედულებების და რწმენის გამოხატვის თავისუფლება.

სასამართლოს არ აქვს უფლება აიძულოს მოპასუხე მოუბოდიშოს მოსარჩელეს... 2003 წლის სამოქალაქო კოდექსის 16-ე და 277-ე მუხლებით არ არის განსაზღვრული იძულებითი ბოდიშის მოხდის შესაძლებლობა, როგორც მცდარი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში პატივის, ღირსების და ბიზნეს რეპუტაციის დაცვის სასამართლო საშუალება.”

H. უზენაესი სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა 2003 წლის სამოქალაქო კოდექსის 16-ე და 277-ე მუხლების გამოყენებასთან დაკავშირებით

28. უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა პლენუმის მიდგომა ცილისწამების საქმეში, როცა გააუქმა ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომელთა მიხედვითაც მოპასუხეებს დაევაღათ, inter alia, ბოდიშის მოხდა და ისინი მიჩნეულ იქნა სამართლებრივად დაუსაბუთებლად. უფრო კონკრეტულად, უზენაესი სასამართლოს განჩინების (2009 წლის 17

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

ივნისით დათარიღებული) შესაბამისი ნაწილები შემდეგი
შინაარსისაა:

“...

სასამართლოები არ არიან უფლებამოსილი დაავალდებულონ მოპასუხე, რათა მან ბოდიში მოიხადოს სხვადასხვა ფორმით, რადგან 2003 წლის სამოქალაქო კოდექსის 16-ე და 277-ე მუხლები არ შეიცავენ მცდარი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით იძულებითი მოზოდინების შესაძლებლობას პატივის, ღირსების და სასამართლო რეპუტაციის დასაცავად; პირის იძულება შეიცვალოს მისი რწმენა, წარმოადგენს უკრაინის კონსტიტუციით და კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას...”.

II. ევროპის საბჭოს და საერაშორისო დონეზე მიღებული შესაბამისი მასალები

A. მინისტრთა კომიტეტის ჩმ/დევ(2007)16 რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოთა მიმართ ინტერნეტის საზოგადოებრივი როლის გაზრდასთან დაკავშირებით

29. 2007 წლის 7 ნოემბერს, მე-10 შეხვედრაზე მინისტრთა კომიტეტის დეკლარაციაში მიმოიხილეს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და სერვისების, უფრო ზუსტად ინტერნეტის, გამოყენების ძირითადი ასპექტები ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის და წახალისების კონტექსტში. მათ გააცნობიერეს ინტერნეტის მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც ის ასრულებდა საზოგადოების სხვადასხვა წყაროებით ინფორმირების პროცესში და ხალხის მნიშვნელოვანი დამოკიდებულება მასზე, როგორც საკომუნიკაციო საშუალებაზე.

30. ერთის მხრივ მითითებულ იქნა, რომ ინტერნეტს შეეძლო საგრძნობლად გაეუმჯობესებანა ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების განხორციელება, როგორც იყო გამოხატვის თავისუფლება, მაგრამ მეორეს მხრივ აღინიშნა, რომ მას შეეძლო მავნე ზეგავლენის მოხდენა სხვა უფლებებზე, თავისუფლებებზე და ღირებულებებზე, როგორებიც იყო პირადი ცხოვრების პატივისცემა და კორესპონდენციის საიდუმლოება და ადამიანთა ღირსება.

31. მინისტრთა მოადგილეებმა მიიღეს რეკომენდაცია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა მიმართ ინტერნეტის

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

მართვასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოიცავდა რეკომენდაციებს, რათა შემუშავებულიყო გამჭვირვალე სამართლებრივი რეგულირება, რომელიც გამოჯნავდა როლს და პასუხისმგებლობის საზღვრებს ყველა იმ დაინტერესებული პირისათვის, რომელიც ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ასპარეზზე იყვნენ წარმოდგენილნი და წახალისებდა კერძო სექტორს, რათა განვითარებულიყო ღია და გამჭვირვალე თვით- და თანა- რეგულირება, რომელთა მიხედვითაც ძირითად მოქმედ პირებს შეიძლებოდა დაკისრებოდათ პასუხისმგებლობა.

B. 2005 წლის 21 დეკემბერს მიღებული გაეროს აზრის და გამოხატვის თავისუფლების სპეციალური მომხსენებლის, ეუთოს მედიის თავისუფლების წარმომადგენლის და ამერიკულ სახელმწიფოთა ასოციაციის გამოხატვის თავისუფლების სპეციალური მომხსენებლების ერთობლივი დეკლარაცია

32. ინტერნეტის, როგორც ინფორმაციის და იდეების თავისუფალი მიმოქცევის ხელშემწყობი საშუალების მნიშვნელობა, აღიარებულ იქნა ბატონების ა.ლიგაბოს, მ. ჰარასხტის და ე.ბერტონის ერთობლივ განცხადებაში. მათ ხაზი გაუსვეს გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო გარანტიების ინტერნეტზე მკაცრად გავრცელების აუცილებლობას. ამ კონტექსტში, მითითებულ იქნას, რომ არავის უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა ინტერნეტის შინაარსისთვის, როცა ისინი არ იყვნენ ავტორები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ მიერ ხდებოდა კონკრეტული შინაარსის შედგენა ან უარს აცხადებდნენ ამგვარი ინფორმაციის სასამართლო ბრძანებით ამოღების შესრულებაზე.

სამართალი

I. კონვენციის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

33. მიმჩივნები ჩიოდნენ, რომ ადგილი ჰქონდა მათი გამოხატვის თავისუფლების დარღვევას, რადგან სასამართლოებმა დააკმაყოფილეს გ.ტ.-ს სარჩელი, რომელიც ეხებოდა 2003 წლის 19 სექტემბერს პრავო დელოში გამოქვეყნებულ სტატიას. ისინი უთითებდნენ, რომ ჩარევა არ იყო კანონის შესაბამისი და ასევე არ წარმოადგენდა აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში. მიმჩივნები ეყრდნობოდნენ კონვენციის მე-10 მუხლს, რომელიც შემდეგი შინაარსისაა:

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.”

A. დასაშვებობა

34. მთავრობამ აღნიშნა, რომ მიმჩივნები არ შეიძლება მიჩნეულიყვნენ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის მსხვერპლად, რადგან მათი გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა ეფუძნებოდა შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებებს. მიმჩივნები არ ჩიოდნენ, რომ კონვენციის მე-6 § 1 მუხლის შესაბამისად მიმდინარე სასამართლო სამართალწარმოება იყო არასამართლიანი და რომ ადგილი არ ჰქონდა სამართალწარმოების ფარგლებში უწესრიგობას და მთავრობის მიდგომით ევროსასამართლოს ლიმიტირებული იურისდიქცია მოიცავდა მხოლოდ და მხოლოდ შიდა სასამართლოს მიერ განხილული ფაქტების და გამოყენებული კანონმდებლობის შეფასებას. ამ საფუძვლებიდან გამომდინარე, მათ სთხოვეს სასამართლოს, რათა მომხდარიყო საჩივარის კონვენციის *ratione personae* მოთხოვნებთან შეუსაბამოდ მიჩნევა.

35. მიმჩივნები არ დაეთანხმნენ.

36. სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის შუამდგომლობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მიმჩივნის კონვენციის მე-10 მუხლიდან მომდინარე საჩივრებთან და შესაბამისად მისი განხილვა უნდა მომხდარიყო საჩივრის არსებით მხარესთან ერთად.

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი
უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

37. სასამართლო დამატებით უთითებს, რომ საჩივარი არ უნდა იქნას მიჩნეული არსებითად დაუშვებლად კონვენციის 35 § 3 მუხლიდან გამომდინარე. აღნიშნავს, რომ იგი არ არის დაუშვებელი, რომელიმე სხვა საფუძვლით. შესაბამისად, იგი უნდა იქნას მიჩნეული დასაშვებად.

B. არსებითი მხარე

1. მხარეთა არგუმენტები

(a) მიმჩივნები

38. მიმჩივნები უთითებდნენ, რომ მასმედიის საშუალებების ცილისწამების გამო პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა არ იყო საკმარისად ნათელი და განჭვრეტადი და რომ შიდა სასამართლოებმა უგულვებელყვეს შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც იცავდნენ ჟურნალისტებს შეუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისას. მათ განაცხადეს, რომ სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში ის ფაქტი, რომ მათ არ გაუვრცელებიათ ინფორმაცია გ.ტ.-ს შესახებ, რომ მეორე მიმჩივანს არ ჰქონდა მიცემული თანხმობა მასალის გამოქვეყნებაზე, რომ ისინი საკმარისად გაემიჯნენ პუბლიკაციას და რომ გ.ტ.-ს არ გამოუყენებია სარედაქციო საბჭოსთვის მიმართვის შესაძლებლობა უარყოფის გამოსაქვეყნებლად, სანამ მოხდებოდა ცილისწამების სამართალწარმოების ინიცირება.

39. მეორე მიმჩივანმა ასევე განაცხადა, რომ უკრაინული კანონმდებლობა არ ადგენდა ბოდიშის მოხდის ვალდებულებას, როგორც სანქციას ცილისწამების გამო.

40. მიმჩივნებმა დამატებით აღნიშნეს, რომ მათ გაავრცელეს მასალა, რომელიც უკვე გამოქვეყნებული იყო ინტერნეტში, რათა მასში წარმოდგენილი პოლიტიკურად მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო წარმართულიყო განხილვა. მათ მიუთითეს, რომ დაკისრებული კომპენსაციის რაოდენობა იყო საკმაოდ მაღალი გაზეთის წლიურ შემოსავალთან შედარებით და აკისრებდა მათ არაპროპორციულ ტვირთს. ამ კონტექსტში მიმჩივნებმა მიუთითეს, რომ მათ მოუხდათ პრავო დელოს გამოქვეყნების შეწყვეტა.

(b) მთავრობა

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი
უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

41. მთავრობამ მიუთითა, რომ მიმჩივანთა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა იყო კანონიერი და ეფუძნებოდა, ნათელ, ხელმისაწვდომ და გამჭვირვალე კანონმდებლობას, უფრო ზუსტად 1963 წლის სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლს, “ინფორმაციის შესახებ” 1992 წლის 2 ოქტომბრის კანონის 47-ე მუხლს, და “ბეჭდური მასმედიის შესახებ” 1992 წლის 16 ნოემბრის კანონის 1-ლ, 32-ე და 42-ე მუხლებს, როგორც ეს იქნა გამოყენებული ეროვნული სასამართლოების მიერ მიმჩივანთა საქმეში.

42. მთავრობამ დამატებით მიუთითა, რომ ჩარევა მიზნად ისახავდა კერძო პირის პატივის, ღირსებისა და ბიზნეს რეპუტაციის დაცვას, რომლის უფლებებიც შელახულ იქნა განსახილველი პუბლიკაციით. მათ მიხედვით, აღნიშნული წარმოადგენდა კანონიერი მიზანს კონვენციის 10 § 2 მუხლის მიზნებისთვის და აღნიშნულს მიმჩივნებიც არ უარყოფდნენ.

43. მთავრობამ მიუთითა, რომ პუბლიკაცია შეიცავდა სერიოზულ ფაქტობრივ ბრალდებებს ცნობილი საზოგადო პირის მიმართ, რომელმაც ხელი შეუწყო სპორტის განვითარებას უკრაინაში. მიმჩივნებმა ვერ შეძლეს აღნიშნული ბრალდების დამტკიცება. ის ფაქტი, რომ მათ წარმოადგინეს ვებ-გვერდიდან მოპოვებული ინფორმაცია, არ იყო მათი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკმარისი საფუძველი, რადგან შიდა სამართალი არ აწესრიგებდა ინტერნეტიდან მოპოვებული ინფორმაციის სტატუსს. შესაბამისად, მთავრობამ მიუთითა, რომ ამ საქმეში ჩარევა იყო აუცილებელი.

44. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ მიმჩივნებს რეალურად არ მოუწიათ სასამართლოს მიერ შეფარდებული კომპენსაციის გადახდა მოსარჩელისთვის, რადგან მათ მეგობრულად მოაგვარეს საქმე გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე 2004 წლის 7 მაისს. მთავრობის თანახმად, მიმჩივანთა მიერ ვერ იქნა დადგენილი ის ფაქტი, რომ გაზეთის გამოცემის შეწყვეტა განპირობებული იყო აღნიშნულ საქმეში განხორციელებული ჩარევით.

45. სასამართლოს დასაშვებობის გადაწყვეტილებაზე – *Vitrenko and Others v. Ukraine* ((dec.), no. 23510/02, 2008 წლის 16 დეკემბერი) – დაყრდნობით, მთავრობა უთითებდა, რომ სასამართლოს ბრძანება ბოდიშის მოხდის დავალდებულების

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი
უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

შესახებ არ მოდიოდა წინააღმდეგობაში კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრულ პრინციპებთან.

46. ამ პირობების გათვალისწინებით, მთავრობა მიიჩნევდა, რომ გასაჩივრებული ჩარევა არ წარმოადგენდა არაპროპორციულ ღონისძიებას.

2. სასამართლოს შეფასება

(a) იყო თუ არა ჩარევა სახეზე გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში

47. სასამართლო უთითებს, რომ განსახილველი პუბლიკაცია შეიცავდა ფაქტობრივი ხასიათის ცილისწამებლურ განცხადებებს. სამოქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების მიხედვით, მიჩნეულ იქნა რომ საჯარო პირი, უკრაინის ტაილანდური კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი იყო დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრი და ახდენდა “მკვლელობათა კოორდინირებას და დაფინანსებას”. მიმჩივნებმა ვერ შეძლეს დაედასტურებინათ აღნიშნული განცხადების ჭეშმარიტება და ეროვნულმა სასამართლომ უარყოფის გამოქვეყნების, ბოდიში მოხდის და შესაბამისი პირისთვის პუბლიკაციით გამოწვეული მორალური ზიანისთვის, კომპენსაციის გადახდა დააკისრა მათ.

48. სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოთა გადაწყვეტილებები წარმოადგენდა მიმჩივანთა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას.

49. სასამართლო იმეორებს, რომ მისი ფუნქცია კონვენციის მეათე მუხლიდან გამომდინარე გულისხმობს საზედამხედველო უფლებამოსილების განხორციელებას და მთლიანი საქმის ფონზე ჩარევის შემოწმებას, უფრო კონკრეტულად იმის დადგენას, თუ რამდენად შესაბამისი და საკმარისია ეროვნული უწყებების მიერ ჩარევის დასადასტურებლად წარმოდგენილი მიზეზები. (მრავალ გადაწყვეტილებათა შორის იხილეთ, *Fressoz and Roire v. France* [GC], no. 29183/95, § 45, ECHR 1999-I). აღნიშნული გარდაუვლად გულისხმობს ეროვნულ დონეზე სასამართლოთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შემოწმებას, მიუხედავად იმისა დაყენებულ იქნა თუ არა საჩივრები სასამართლოს პროცედურულ გარანტიებთან დაკავშირებით, კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არ იზიარებს მთავრობის პრეტენზიას მიმჩივანთა მიერ მსხვერპლის სტატუსის დაკარგვასთან დაკავშირებით.

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი
უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

50. სასამართლო შემდეგ შეაფასებს იმას, თუ რამდენად იყო გამართლებული ჩარევა კონვენციის 10 § 2 მუხლის შესაბამისად.

(b) იყო თუ არა ჩარევა განსაზღვრული კანონით

51. სასამართლო უთითებს, რომ კონვენციის მეათე მუხლის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ის, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევა გამოხატვის თავისუფლებაში უნდა იყოს კანონიერი: მეორე პარაგრაფის პირველი წინადადება ძირითადად ადგენს, რომ გამოხატვის ყველა შეზღუდვა უნდა იყოს “კანონით განსაზღვრული”. ამ მოთხოვნის შესრულებისათვის არ არის საკმარისი, ჩარევისთვის მხოლოდ ეროვნულ სამართლებრივი საფუძვლის არსებობა. კანონი უნდა შეესაბამებოდეს “ხარისხის” გარკვეულ მოთხოვნებს. უფრო ზუსტად, რეგულირება არ შეიძლება იქნას მიჩნეული “კანონად” თუ იგი არ არის წარმოდგენილი საკმარისი სიცხადით, რათა მოქალაქემ შეძლოს მისი ქმედების დარეგულირება: მას უნდა შეეძლოს – სადაც აუცილებელია შესაბამისი რჩევით – განჭვრიტოს, კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულ ფარგლებში, ამათუიმ ქმედებას რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოჰყვეს (მაგალისთვის იხილეთ, *Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France* [GC], nos. 21279/02 and 36448/02, § 41, ECHR 2007-XI).

52. გარკვეული დოზით სიცხადის ხარისხი დამოკიდებულია კონკრეტული ინსტრუმენტის შინაარზე, იმ სფეროზე, რომელსაც იგი მოიცავს და იმ პირთა რაოდენობასა და სტატუსზე, რომლის წინააღმდეგაცაა იგი მიმართული (იხილეთ *Groppera Radio AG and Others v. Switzerland*, 1990 წლის 28 მარტი, § 68, შერიეს A ნო. 173). განჭვრიტადობის ფარგლები არ ვრცელდება მხოლოდ ძირითად ქმედებაზე, რომლის სამართლებრივი შედეგებიც უნდა განჭვრიტოს პირმა, არამედ ასევე მოიცავს “ფორმლობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სასჯელებს”, რომლებიც ამგვარი ქმედებასთან არიან დაკავშირებულნი და ეწინააღმდეგებიან ეროვნულ კანონმდებლობას (იხილეთ, *Kafkaris v. Cyprus* [GC], no. 21906/04, § 140, ECHR 2008-...).

53. ამ საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, სასამართლო უთითებს რომ მიმჩივანთა მოთხოვნა ჩარევის კანონიერებასთან დაკავშირებით შეიცავს ორ კონკრეტულ საკითხს, უფრო ზუსტად, შესაბამის სამართლებრივ დებულებებში ჟურნალისტთა სპეციფიკურ გარანტიებს და სავარაუდო სამართლებრივი

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი
უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

საფუძვლების არარსებობას ცილისწამების საქმეებში ბოდიშის მოხდის ვალდებულებასთან დაკავშირებით.

(i) უკრაინის კანონმდებლობაში დადგენილი ღონისძიებები ცილისწამების საქმეებში

54. რაც შეეხება მეორე საკითხს, სასამართლო უთითებს, რომ უკრაინის კანონი ადგენს, რომ ცილისწამების საქმეებში, დაზარალებულ მხარეებს აქვთ არასწორი და ცილისმწამებლური გამონათქვამების უარყოფის მოთხოვნის და ზიანის ანაზღაურების კომპენსაციის უფლება. ორივე ღონისძიება იქნა გამოყენებული მიმჩივანთა საქმეში. მაგრამ, ამ ღონისძიების გარდა, ეროვნულმა სასამართლომ დაავალდებულა მეორე მიმჩივანი, რომ გამოექვეყნებინა ოფიციალური ბოდიში გაზეთში. სასამართლო უთითებს, რომ აღნიშნული ღონისძიება არ იყო სპეციფიკურად განსაზღვრული შიდა სამართალში.

55. სასამართლოს განუხილავს მსგავსი საქმე რუსეთის წინააღმდეგ. იმ საქმეში სასამართლო დათანხმდა შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლებში ინტერპრეტაციას, რომლის მიხედვითაც ეროვნული სასამართლოების მიერ უარყოფის ან გამოსწორების შინაარსი თავის მხრივ მოიცავდა ბოდიშის მოხდის ვალდებულებასაც და აღნიშნული არ იქნა მიჩნეული უკანონოდ კონვენციის მიზნებისთვის (იხილეთ, *Kazakov v. Russia*, no. 1758/02, § 24, 2008 წლის 18 დეკემბერი).

56. მაგრამ ზემოხსენებული საქმისგან განსხვავებით, აღნიშნული შემთხვევა არ შეიცავს არანაირ მტკიცებულებას ან დამაჯერებელ არგუმენტს, რომ უკრაინული სასამართლოები განმარტავდნენ ფართოდ სამართლებრივ დებულებებს, რომლებიც მოქმედებდა ცილისწამების შემთხვევებში ან ის, რომ აღნიშნული წარმოადგენდა მათ ზოგად მიდგომას ამგვარ საქმეებში.

57. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მიუხედავად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული მეორე მიმჩივნის სპეციფიკური და შესაბამისი საჩივრებისა, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ წარმოადგინეს ახსნა, თუ რატომ განსხვავდებოდა აღნიშნული მიდგომა არსებითად, შესაბამისი ეროვნულ სამართლებრივი წესებისგან (იხილეთ მე-17 პარაგრაფი ზემოთ). მთავრობის არგუმენტაციამაც ვერ წარმოაჩინა სიცხადე ამ კუთხით.

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი
უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

58. როგორც ეს ნათლად გამოჩნდა შესაბამისი ეროვნული სასამართლოების პრაქტიკიდან, მიუხედავად მისი ამ კონკრეტული საქმის განხილვის შემდეგ ჩამოყალიბებისა, ბოდიშის მოხდის ვალდებულების დაკისრება ცილისწამების საქმეებში, შეიძლება წინააღმდეგობაში მოსულიყო კონსტიტუციით განსაზღვრულ გამოხატვის თავისუფლების გარანტიასთან (იხილეთ 27-28-ე პარაგრაფები).

59. ამ პირობებში, სასამართლო ადგენს რომ სასამართლოს ბრძანება მეორე მიმჩივნის მიმართ, რომელიც შეეხებოდა ბოდიშის მოხდას, არ ეფუძნებოდა კანონს და შესაბამისად ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას ამ მიმართებით.

(ii) ჟურნალისტთა სპეციალური დაცვითი მექანიზმები უკრაინის კანონმდებლობაში

60. სასამართლო უთითებს, რომ განსახილველი პუბლიკაცია წარმოადგენდა ხელმისაწვდომი ინტერნეტ გაზეთიდან გადმოტვირთული მასალის რეპროდუქციას. იგი შეიცავდა მითითებას შესაბამის წყაროზე და ასევე სარედაქციო საბჭოს კომენტარებს, სადაც ისინი გაემიჯნენ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის შინაარსს.

61. უკრაინის კანონმდებლობა – განსაკუთრებით “პრესის შესახებ” კანონი – ათავისუფლებს ჟურნალისტებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან, როცა ხდება სხვა გამოქვეყნებული მასალის რეპროდუქცია (იხილეთ ზემოთ 25-ე პუნქტი). სასამართლო უთითებს, რომ აღნიშნული დებულება ზოგადად შეესაბამება მის მიდგომას რომლის მიხედვითაც, ჟურნალისტებს აქვთ თავისუფლება გაავრცელონ სხვათა მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია (მაგალითისთვის იხილეთ, *Jersild v. Denmark*, 23 September 1994, § 35, Series A no. 298, და *Thoma v. Luxembourg*, no. 38432/97, § 62, ECHR 2001-III).

62. მაგრამ, ეროვნული სასამართლოების მიხედვით, ამგვარი იმუნიტეტი არ არსებობდა იმ ჟურნალისტთა მიმართ, რომლებიც ახდენდნენ მასალის რეპროდუქციას ინტერნეტ წყაროებიდან და რომლებიც არ იყვნენ რეგისტრირებულნი “პრესის შესახებ” კანონის შესაბამისად. ამ მიმართებით, სასამართლო უთითებს, რომ არ არსებობდა შიდა სამართლებრივი რეგულაციები ინტერნეტ მედიის რეგისტრაციის შესახებ და მთავრობის განცხადებითაც “პრესის შესახებ” კანონი და მედიის მარეგულირებელი სხვა

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი
უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

ნორმატიული აქტები არ შეიცავდნენ დებულებას ინტერნეტ მედიის სტატუსის შესახებ ან ინტერნეტიდან მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებაზე.

63. სწორია მსჯელობა, რომ ინტერნეტი არის საინფორმაციო და საკომუნიკაციო მექანიზმი, რომელიც განსხვავდება ბეჭდური მედიისგან, განსაკუთრებით ინფორმაციის დამახსოვრების და გადაცემის უნარით. ელექტრონული ქსელი, რომელიც ემსახურება მილიარდობით მომხმარებელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, არ და პოტენციურად ვერც იქნება იგივე რეგულაციების და კონტროლის საგანი. ინტერნეტ კომუნიკაციებიდან და მისი შინაარსიდან მომდინარე საფრთხე ადამიანის უფლებების და თავისუფლებების განხორციელების პროცესთან მიმართებით, განსაკუთრებით პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების მიმართ, არის უფრო მაღალი ვიდრე პრესიდან მომდინარე საფრთხე. შესაბამისად, პრესიდან და ინტერნეტიდან რეპროდუქცირებული მასალების გამოქვეყნების მომწესრიგებელი პოლიტიკა შეიძლება იყოს განსხვავებული. ეს უკანასკნელი უდავოდ უნდა იქნას შეჯერებული ტექნოლოგიების სპეციფიკურ თავისებურებებთან, რათა გარანტირებულ იქნას შესაბამისი უფლებების და თავისუფლებების დაცვა და წახალისება.

64. მიუხედავად ამისა, ინტერნეტის როლის გათვალისწინებით, რომელიც მას აქვს პროფესიონალურ მედია საქმიანობაში (იხილეთ ზემოთ 29-32-ე პარაგრაფები) და ინფორმაციის თავისუფლების უფლების განხორციელებასთან მიმართებით მისი მნიშვნელობის მხედველობაში მიღებით (იხილეთ *Times Newspapers Ltd v. United Kingdom (nos. 1 and 2)*, no. 3002/03 and 23676/03, § 27, 2009 წლის 10 მარტი), სასამართლო მიიჩნევს, რომ საკმარისი სამართლებრივი ბაზის არარსებობა ეროვნულ დონეზე, რომელიც ნებას რთავს ჟურნალისტებს გამოიყენონ ინტერნეტში გამოქვეყნებული ინფორმაცია ყოველგვარი სანქციების დაკისრების შიშის გარეშე, სერიოზულ ზიანს აყენებს პრესის, როგორც “საზოგადოებრივი მეთვალყურის” ძირითად ფუნქციებს (იხილეთ, *mutatis mutandis Observer and Guardian v. the United Kingdom*, 1991 წლის 26 ნოემბერი, § 59, Series A no. 216). სასამართლოს აზრით, ჟურნალისტთა თავისუფლების საკანონმდებლო გარანტიების სივრციდან ამგვარი ინფორმაციის სრულად გამორიცხვამ, შეიძლება თავად გამოიწვიოს გაუმართლებელი ჩარევა კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ პრესის თავისუფლებაში.

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

65. სასამართლო დამატებით უთითებს, რომ უკრაინული კანონმდებლობის შესაბამისად, ჟურნალისტებს არ შეიძლება დაეკისროთ კომპენსაციის გადახდის ვალდებულება ცილისწამების საქმეებში, თუ ისინი არ ავრცელებენ არასწორ ინფორმაციას განზრახ, მოქმედებენ კეთილსინდისიერად და ამოწმებენ ინფორმაციას, ან თუ დაზარალებული მხარე არ იყენებს შესაძლო არსებულ ღონისძიებებს, რათა გადაწყვიტოს დავა სასამართლოში წასვლამდე (იხილეთ 26-ე პუნქტი). ეროვნულ სამართალწარმოებაში, მიმჩივნებმა პირდაპირ დააყენეს კვალიფიცირებული პრივილეგიით სარგებლობის მოთხოვნა სამართლებრივი დებულების შესაბამისად. უფრო კონკრეტულად, მათ იჩივლეს, რომ მასალის გამოქვეყნებისას ისინი არ მოქმედებდნენ მოსარჩელის მიმართ სულ ოდნავი ცილისწამებლურად ბოროტი განზრახვითაც კი და რომ აღნიშნული ინფორმაციის მიღების ინტერესი გააჩნდა საზოგადოებას. უფრო მეტიც, მათ მიუთითეს, რომ მანამდე ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალის რეპროდუქციისას, ისინი მიზნად ისახავდნენ დებატების და დისკუსიის გამართვას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე. მათ ასევე განაცხადეს, რომ მოსარჩელეს არ განუხორციელებია არანაირი ღონისძიება მათთან დავის გადასაწყვეტად, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ მოწვეულ იქნა ყველა დაინტერესებული პირი კომენტარის გასაკეთებლად. მაგრამ მათი პოზიცია საერთოდ არ იქნა გაზიარებული სასამართლოთა მიერ.

66. შესაბამისად სასამართლო ადგენს, რომ ეროვნულ სამართალში ადეკვატური დაცვითი მექანიზმების არარსებობიდან გამომდინარე, მიმჩივნებს არ შეეძლოთ შესაბამისი ხარისხით განემსჭვალათ შედეგები, რომელიც სადავო პუბლიკაციის გამოქვეყნებით შეიძლებოდა დაკისრებოდათ. აღნიშნული აძლევს სასამართლოს დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ კონვენციის მე-10 მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული კანონიერების მოთხოვნა არ იყო დაცული.

67. ამ პირობებში სასამართლო არ მიიჩნევს აუცილებლად, რომ განიხილოს მხარეთა დანარჩენი მოთხოვნები, რომლებიც ეხება ამ დებულებას ან ჩარევის პროპორციულობის შემოწმებას.

68. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას საქმის ამ ასპექტთან მიმართებით.

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი
უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

69. კონვენციის 41-ე მუხლი განსაზღვრავს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

A. პირველი მიმჩივნის მოსაზრებები

70. პირველმა მიმჩივანმა განაცხადა, რომ ამ საქმეში გონივრული სამართლიანი დაკმაყოფილება იქნებოდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის დადგენა და უკრაინის მიერ განსახორციელებელ ზოგად ღონისძიებებზე მითითება, რათა მომხდარიყო “გამოხატვის თავისუფლების ევროპულ სტანდარტებთან” კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობის უზრუნველყა, “ინტერნეტში არსებული სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის” გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელთა “სანდობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას”.

71. მთავრობას არ წარმოუდგენია საქმის ამ ასპექტთან დაკავშირებით მისი მოსაზრება.

72. ამ საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით და კონვენციის მეათე მუხლთან დაკავშირებით დასკვნების შესაბამისად (იხილეთ ზემოთ 64-68-ე), სასამართლოს არ მიაჩნია აუცილებლად განიხილოს აღნიშნული საქმე კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად და მოახდინოს ზოგადი ღონისძიებების გამოყენება საქმეში არსებული დარღვევის გამოსასწორებლად (იხილეთ, *mutatis mutandis*, *Broniowski v. Poland* [GC], no. 31443/96, § 194, ECHR 2004-V). სასამართლო ასევე უთითებს, რომ პირველი მიმჩივნის მიმართ არ არსებობს სამართლიანი დაკმაყოფილების აუცილებლობა შესაბამისი მოთხოვნის არარსებობის გამო.

B. მეორე მიმჩივნის მოსაზრებები

1. ზიანი

73. მეორე მიმჩივანმა მოითხოვა 7,000 ევროს (EUR) ანაზღაურება მორალური ზიანისთვის.

პრავო დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი
უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

74. მთავრობამ სადავოდ გახადა მეორე მიმჩივნის მოთხოვნა.

75. სასამართლო მიიჩნევს, რომ მეორე მიმჩივანმა განიცადა გარკვეული ტანჯვა და იმედგაცრუება გამოხატვის თავისუფლების დარღვევების გამო. იხელმძღვანელა რა სამართლიანობის პრინციპით, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის 41-ე მუხლით, იგი გადასცემს მას 6,000 ევროს ამ მიმართებით.

2. გაწეული ხარჯები და დანახარჯები

76. მეორე მიმჩივანს არ განუხორციელებია არანაირი მოთხოვნა გაწეული ხარჯების და დანახარჯების ასანაზღაურებლად. შესაბამისად, სასამართლო არ ახდენს დაკმაყოფილებას ამ მიმართებით.

3. საურავი

77. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამ პროცენტის განაკვეთი.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო
ერთხმად**

1. წყვეტს, რომ მთავრობის პრეტენზია მიმჩივანთა მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით, განიხილოს საქმის არსებით მხარესთან ერთად და უარყოფს მას;

2. აცხადებს განაცხადს დასაშვებად;

3. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას ეროვნული მეორე მიმჩივნის მიმართ სასამართლოების ბრძანებასთან დაკავშირებით ოფიციალური ბოდიშის გამოქვეყნების დავალდებულების გამო;

4. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას მიმჩივანთა გამოქვეყნებული პუბლიკაციის დასჯის გამო;

5. ადგენს,

(a) რომ მოპასუხე სახელმწიფომ, კონვენციის 44 § 2 მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში გადაუხადოს მეორე მიმჩივანს 6,000 (ექვსი

პრაგოე დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი
უკრაინის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

ათასი) ევრო მორალური ზიანის გამო, აგრეთვე ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც ეს თანხა შეიძლება დაიბეგროს;

(b) ზემოხსენებული სამთვლიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამ პროცენტოანი განაკვეთი;

6. უარყოფს მეორე მიმჩივნის დანარჩენ მოთხოვნას სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურად და მხარეებს ეცნობათ 2011 წლის 5 მაისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე §§ 2 და 3 მუხლების შესაბამისად.

კლაუდია ვესტერდიკი
რეგისტრატორი

დინ სპლინმანი
პრეზიდენტი